ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

3 – 7 აპრილი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

აიდ აჰმად ალ-ჯაბურის ლიკვიდაცია

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სამეთაურო შტაბი (CENTCOM) ინფორმაციას ავრცელებს უნილატერული სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის მაღალი რანგის წევრის, აიდ აჰმად ალ-ჯაბურის, ლიკვიდაციის შესახებ. სამეთაურო შტაბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანახმად, ალ-ჯაბური ევროპის ტერიტორიაზე ტერორისტულ თავდასხმებს გეგმავდა.

04.04.2023

იაკუბ ალ-მუჰაჯირის ლიკვიდაცია

ერაყის ეროვნული სადაზვერვო სამსახური ინფორმაციას ავრცელებს სირიაში, იდლიბის რეგიონში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად, დაეშის ყველაზე სახიფათო წევრის, იაკუბ ალ-მუჰაჯირის (ხალედ ალ-ჯუბოურის) მკვლელობის შესახებ.

07.04.2023

აფეთქება დერაას გუბერნიაში

სირიაში, დერაას გუბერნიაში, საგზაო ბომბის აფეთქების შედეგად დაშავდა სირია-იორდანიის საზღვარზე გამშვები პუნქტის 16 თანამშრომელი. აფეთქება იორდანიის საზღვართან, ნასიბში, საბაჟო კონტროლის ზონის გარეთ მოხდა.

05.04.2023

წერტილოვანი საჰაერო დარტყმები დამასკოსთან

სირიის ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ინფორმაციას ავრცელებს ისრაელის მიერ დამასკოს გარეუბნებში განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად 2 მშვიდობიანი მოქალაქის გარდაცვალების შესახებ.

06.04.2023

წერტილოვანი საჰაერო დარტყმები ღაზას სექტორში

ისრაელის თავდაცვის ძალების წინასწარი ანგარიშის თანახმად, ღაზას სექტორში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ორ სამხედრო საწყობზე

განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად განადგურებულია ორი ობიექტი.

05.04.2023

სამხედრო სასამართლო ღაზას სექტორში

ღაზას სექტორში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ რეჟიმის სამხედრო სასამართლომ, ისრაელთან თანამშრომლობისთვის 6 პირს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. პალესტინური კანონის თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება მხოლოდ დასავლეთ სანაპიროზე ბაზირებული პრეზიდენტის მიერ ნებართვის გაცემის შემთხვევაში შეუძლია. თუმცა, ღაზას სექტორში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“ აღნიშნულ კანონს არ ითვალისწინებს.

06.04.2023

თავდასხმა ადამავას შტატში

ადამავას შტატის საპატრულო სამსახურის უფროსის, სულეიმან ნგუროიეს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰონგის უბანზე შეიარაღებული პირების მიერ განხორციელებული 4 თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი გარდაიცვალა.

04.04.2023

აფეთქება მოგადიშოში

სომალის დედაქალაქ მოგადიშოში, აფრიკის კავშირის გარდამავალი მისიის სამშვიდობო კოლონაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაშავებულია რამდენიმე პირი. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება მეოთხე და მეხუთე სექტორების დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. ამ დროისათვის თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

06.04.2023

ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის თავდასხმა ჯუბას რეგიონში

ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბაბის მეთაურის, მაჰად კარატის, სამხედრო დაჯგუფებამ ჯუბას რეგიონში, ქალაქ ჯილიბზე, ალ შაბაბის სხვა მეთაურის, ჯაბირის, სამალავზე მიიტანა იერიში. დაშავებული გენერალი (ჯაბირი) ალ შაბაბის მებრძოლებმა ბრძოლის ველს გაარიდეს.

05.04.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია სამხრეთ ვაზირისტანში

პაკისტანის უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციას ავრცელებს სამხრეთ ვაზირისტანში განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შესახებ, რომლის შედეგადაც ლიკვიდირებულია ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებული 8 პირი. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას დაიღუპა პაკისტანის ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი, ჰამიდ რასული.

06.04.2023

კონტრტერორისტული რეიდი ბალხის პროვინციაში

ტალიბანის მიერ ბალხის პროვინციაში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის ხორასანის პროვინციის წინააღმდეგ განხორციელებული კონტრტერორისტული რეიდის შედეგად, ლიკვიდირებულია დაეშის 6 წევრი.

05.04.2023